

გადაზღვევის სახეობები და მათი გავლენასადაზღვევო კომპანიის
პორტფელზე

რომან ლემონჯავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

სადაზღვევო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა

მედიცინისაკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

რომან ლემონჯავა

25.12.2013

აბსტრაქტი

გადაზღვევა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სადაზღვევო ინდუსტრიისათვის. პრაქტიკაში დამკვიდრებულია გადაზღვევის ხელშეკრულების ორი ძირითადი ფორმა: ფაკულტატური და ობლიგატორული გადაზღვევა. ფაკულტატური გადაზღვევის შემთვევაში ხდება ცალკეული რისკების გადაზღვევის მიზნით ცალკეული გადაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმება, ხოლო ობლიგატორული გადაზღვევა გულისხმობს ცალკეული სახეობის სადაზღვევო პორტფელში შემავალი ყველა პოლისის გადაზღვევა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში.

არსებობს გადაზღვევის ორი ძირითადი სახეობა - პროპორციული და არაპროპორციული. პროპორციული გადაზღვევის შემთვევაში, რისკის გადანაწილება ხდება სადაზღვევო თანხის / ლიმიტის საფუძველზე, ხოლო არაპროპორციული გადაზღვევის შემთვევაში წამყვანი როლი ენიჭება ზარალის მოცულობას. პროპორციული გადაზღვევის ძირითადი ქვესახეობებია:

- კვოტური გადაზღვევა;
- სადაზღვევო თანხის ექსცედენტით გადაზღვევა.

არაპროპორციული გადაზღვევის ძირითადი ქვესახეობებია:

- ზარალის ექსცედენტით გადაზღვევა, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს რამდენიმე ქვესახეობას:
 - ზარალის ექსცედენტით გადაზღვევა თითოეული რისკის მიხედვით;
 - კატასტროფული ზარალის ექსცედენტით გადაზღვევა;
 - აგრეგატული ზარალის ექსცედენტით გადაზღვევა;
- ზარალიანობის შეზღუდვით გადაზღვევა.

ჩამოთვლილ ქვესახეობებს შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ პროპორციულ გადაზღვევაში რისკის მოცულობაა განმსაზღვრელი, ხოლო არაპროპორციულში - ზარალის მოცულობა.

წინამდებარე ნაშრომში განიხილება ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის ქონების დაზღვევის პორტფელი და ამ პორტფელის ობლიგატორული გადაზღვევის ოთხი სხვადასხვა ვარიანტი. კვლევის მიხედვით, განხილული პორტფელისთვის ოპტიმალური ვარიანტია სადაზღვევო თანხის ექსცედენტითა და კატასტროფული ზარალის ექსცედენტით გადაზღვევა. თუმცა, ეს დასკვნა შესაძლოა არ იყოს მართებული განსხვავებული პორტფელებისათვის.

ნაშრომის მიზანია არა ის, რომ მოხდეს გადაზღვევის უნივერსალური ფორმის შერჩევა, რომელიც ოპტიმალური იქნება ყველა სახი სადაზღვევო პორტფელისათვის, არამედ ის, რომ წინ წამოსწიოს ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს გადაზღვევის სხვადასხვა სახეობებიდან ერთ-ერთის ამორჩევაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გადაზღვევა, ობლიგატორული, ფაკულტატური, ზარალის ექსცედენტი.

Abstract

Reinsurance is vital for the insurance industry.

In practice, there are established the two main forms of reinsurance contracts. These are Facultative and Obligatory contracts. In case of the Facultative reinsurance, individual reinsurance contracts are concluded in order to reinsure individual risks, while the Obligatory reinsurance provides reinsurance of all the policies incorporated in the individual insurance portfolio within one contract. One of the types of the Facultative reinsurance is Fronting contract.

One of the most important components of the reinsurance contract is the Loss Indemnity Basis.

The three approaches are mainly used:

- Risk Attaching Basis;
- Loss Occurrence Basis;
- Claims-made Basis.

There are the two main types of reinsurance – Proportional and Non-proportional.

In the case of Proportional reinsurance, the risk is distributed based on the Sum Insured / Limit of Liability, while in the case of the disproportional reinsurance, the leading role is assigned to the amount of loss.

The main subtypes of the proportional reinsurance are:

- Quota Share Reinsurance;
- Surplus.

The main subtypes of the Non-proportional reinsurance are:

- Excess of Loss, which, in turn, includes several subtypes;
 - Working Excess of Loss;

- Catastrophe Excess of Loss;
- Aggregate Excess of Loss;
- Stop Loss.

There are distinctive features among the named subtypes, however, the main distinguishing feature is that in the Proportional reinsurance the size of risk is determining and in the Non-proportional one – the amount of loss.

This paper considers the property insurance portfolio of one of the insurance companies and four different options of obligatory reinsurance of this portfolio.

Reasoning will reveal that the optimal choice for the portfolio under review is reinsurance with the Surplus and Catastrophe Excess of Loss. However, this conclusion may not be valid for other portfolios.

The aim of the paper is not to select the universal form of reinsurance which would be optimal for all the types of insurance portfolios, but to promote the factors that affect the choice of one type of reinsurance out of different types of reinsurance.

Key Words: reinsurance, obligatory, facultative, excess of loss.